ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №13/43

2020 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2019 წლის 19 სექტემბრიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-15 პუნქტის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის №21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 116[1] მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის მიხედვით განიხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.
ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2019 წლის 19 სექტემბრიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.
მუხლი2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3)
მუხლი3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბექა ვაჭარაძეს

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის დირექტორის ანგარიში 2019 წლის 19 სექტემბრიდან 2020 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 სექტემბრის N04/1338 ბრძანების საფუძველზე რეორგანიზებული (გაერთიანებული) იქნა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი " და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი ". რეორგანიზაციის (გაერთიანების) საფუძველზე დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი ".

2019 წლის 10 თვეში ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის მიერ ათვისებული თანხის რაოდენობა განისაზღვრა 226, 4 ათ ლარით, აქედან, სახელფასოდ გაიხარჯა 78, 6 ათ ლარი, ოფისის ხარჯმა შეადგინა 2, 0 ათ ლარი, კვების ხარჯმა – 131, 9 ათ. ლარი, სამედიცინო და რბილი ინვენტარის ხარჯმა – 6, 4 ათ ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯი – 6, 5 ათ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა – 0, 9 ათ ლარი. საშტატო ერთეული განისაზღვრა 18 თანამშრომლით.

2019 წლის 10 თვის განმავლობაში ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი დაფინანსდა 257, 8 ათ ლარით. აღნიშნული თანხიდან 10 თვის განმავლობაში სახელფასოდ გაიხარჯა 254, 7 ათ ლარი. აქედან საშტატო ერთეულით დასაქმებულ პირებზე გაიცა 254, 0 ათ ლარი, ხოლო ხელშეკრულებით მიღებულ პირებზე – 0, 7ათ ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 3, 8 ათ ლარი. საშტატო ერთეული განისაზღვრა 60 თანამშრომლით.

2019 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 132, 5 ათ ლარით. დაფინანსებული თანხიდან სახელფასოდ გაიხარჯა 88, 9 ათ ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 43, 6 ათ ლარი. საშტატო ერთეული განისაზღვრა 78 თანამშრომლით.

2020 წელს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 757, 4 ათ ლარით.

1. შრომითი ანაზღაურების ოდენობა შეადგენს 433, 2 ათ ლარს.

2. საქონელი და მომსახურების ხარჯებია – 321, 2 ათ. ლარი. მათ შორის მივლინების ხარჯი – 0, 7 ათ. ლარი, ოფისის ხარჯი – 7, 9 ათ. ლარი, კვების ხარჯი – 262, 6 ათ.

ლარი, სამედიცინო ხარჯი - 4, 9 ათ. ლარი, რბილი ინვენტარის ხარჯი - 8, 0 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 37, 1 ათ. ლარი.

3. არაფინანსური აქტივების ზრდა - 3. 0 ათ. ლარი.

2019 წლის 19 სექტემბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით ა(ა)იპ სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხილულია ფოთის მუნიციპალიტეტის მერიიდან, საკრებულოდან, მოსახლეობიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან უბნებში შემოსული 1386 განცხადება და წერილი. აქედან, კუნძულის უბანში -340, ცენტრის უბანში - 316, მალთაყვის უბანში -268 და ნაბადის უბანში - 462. განცხადებების ძირითადი ნაწილი შემოსულია მედიკამენტოზური მკურნალობისათვის წამლის ვაუჩერის გაცემის შუამდგომლობით - 58, უპოვართა სასადილოში კვებით უზრუნველყოფის -18, მატერიალური და სხვა სოციალური დახმარების საკითხებთან დაკავშირებით - 348. სტაციონალური დახმარების აღმოჩენის თხოვნით - 272.

2019 წლის განმავლობაში უპოვართა სასადილოს უფასო კვებით სარგებლობდა 250 ბენეფიციარი, ხოლო შინმოვლის პროგრამით - 28 ბენეფიციარი.

2020 წლის 6 თვის განმავლობაში ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი დაფინანსდა 387, 6 ათ. ლარით. მათ შორის ბიუჯეტის თანხა შეადგენს 378, 3 ათ. ლარს, ხოლო საკუთარი სახსრები - 9, 3 ათ. ლარს.

დაფინანსებული თანხიდან 2020 წლის 6 თვეში სახელფასოდ გაიხარჯა 226, 3 ათ. ლარი. საქონელი და მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 151, 1 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივობები განისაზღვრა 0, 9 ათ. ლარით.

როგორც მოგეხსენებათ, ცენტრის თანამშრომლები განაწილებულნი არიან მუნიციპალიტეტის ოთხივე (კუნძული, ცენტრი, ნაბადა, მალთაყვა) უბნებში და წესდებით გათვალისწინებული ფუნქციებიდან გამომდინარე ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2020 წლის 6 თვის განმავლობაში ა(ა)იპ სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხილულია ფოთის მუნიციპალიტეტის მერიიდან, საკრებულოდან, მოსახლეობიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან უბნებში შემოსული 2602 განცხადება და წერილი. აქედან, კუნძულის უბანში -691, ცენტრის უბანში - 564, მალთაყვის უბანში -633 და ნაბადის უბანში - 714. განცხადებების ძირითადი ნაწილი შემოსულია მედიკამენტოზური მკურნალობისათვის წამლის ვაუჩერის გაცემის შუამდგომლობით - 954, მატერიალური და სხვა სოციალური დახმარების საკითხებთან დაკავშირებით - 1282. სტაციონალური დახმარების აღმოჩენის თხოვნით - 366.

ამდენად, ჩვენს მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე 2019 წლის 17 სექტემბრიდან 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით მერის წარმომადგენლის მიერ მოქალაქეებზე გაცემულია სულ 3330 ცნობა და დასკვნა. აქედან, კუნძულის უბნიდან -528 ცნობა და დასკვნა, ცენტრიდან -1572, მალთაყვიდან -699, ნაბადიდან -531.

2020 წლისათვის უპოვართა სასადილოს მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 300-მდე გაიზარდა. მათგან, მზა საკვების შინმიტანის სერვისით სარგებლობს - 84 ბენეფიციარი, ხოლო შინმოვლის პროგრამით - 28 ბენეფიციარი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ცენტრის თანამშრომლები ასრულებდნენ წესდებით გათვალისწინებულ სხვადასხვა სახის სამუშაოებს: მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეჭირვებული მოქალაქეებისათვის შეშით მომარაგების ღონისძიებებში. მერიის წარმომადგენლებთან ერთად სისტემატიურ მონიტორინგს უწევდნენ ქალაქში მიმდინარე კეთილმოწყობის (ქუჩების დაგრეიდერება, ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი კორპუსების სარემონტო, არხების გაწმენდა და სხვა) სამუშაოებს. მონაწილეობდნენ კოღოსა და ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამლვით ღონისძიებებში. ასევე სისტემატიურად ახდენდნენ სამუშაოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოსახლეობასთან შეხვედრებს, მათი პრობლემების აღნუსხვას და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლისათვის წარდგენას. დადგენილი წესებით პერიოდულად ასრულებდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ცალკეულ შუამდგომლობებს, მათთვის აუცილებელ მიმდინარე საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა: სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში უნებართვოდ მცხოვრებ პირთა აღრიცხვა, წვევამდელთა რაოდენობის დადგენა, ქალაქში არსებული დაწესებულებების, სამრეწველო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების აღრიცხვა, გარდაცვლილთა აღრიცხვა, ახალშობილთა რაოდენობის დაზუსტება, სისტემატიურად ახდენდნენ ჩვენი სამსახურის მიერ შექმნილი ყოვლისმომცველი ბაზის მონაცემთა განახლებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარებას, დაუძლურებულ და ლოგინსმიჯაჭვული ბენეფიციარების სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების პროგრამების მომზადებას, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთა უფასო კვებით უზრუნველყოფას, სადაც გათვალისწინებულია მარტოხელა, დაუძლურებული და შშმ პირთა კვებით მომსახურება შინ მიტანით და სხვა. ასევე ჩვენი სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის მერიის ინიციატივით ჩატარებულ დასუფთავების აქციებში სხვადასხვა კულტურულ, საქველმოქმედო და სადღესასწაულო ღონისძიებებში. დადგენილ ვადებში ასრულებდნენ ხელმძღვანელობის დავალებებს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჩვენი სამსახურის როლი ქალაქში კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

2020 წლის 16 მარტის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, აუცილებელი გახდა უფასო სასადილოს 300-ივე ბენეფიციარისათვის განხორციელებულიყო მზა საკვების შინმიტანის მომსახურება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეძენილ იქნა 2150 ცალი სხვადასხვა ზომის კონტეინერები სულ 6405 ლარის ღირებულების და პოლიეთილენის პარკები, სულ 300 ლარის ღირებულების. მოცემული სამუშაოს შესრულება ჩვენი სამსახურის თანამშრომლებისა და ქალაქში შექმნილი მოხალისეთა ჯგუფის მიერ ხორციელდებოდა 2020 წლის 24 მარტიდან 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით. ასევე ყოველდღიურად ხდებოდა შინმოვლის პროგრამაში ჩართული 28 ბენეფიციართან მედდების და საჭიროების შემთხვევაში ექიმის ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, უპოვართა სასადილოს თანამშრომელთა ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა,

სისტემატიურად ხდებოდა ქალაქში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ სასურსათო შემოწირულობების გადაცემა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2020 წლის 30 მარტის ბრძანების (N01 136/ო) საფუძველზე, ფოთის ჰოსპიტალი განისაზღვრა „ცხელების კლინიკად ". აღნიშნული მდგომარეობის გამო, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 6 აპრილის N04/544 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა, კლინიკაში განთავსებული პაციენტებისა და მედპერსონალის კვებითი უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება ადგილზე მიწოდებით. ზემოთხსენებული სამუშაოს შესრულებას ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ 2020 წლის 08 აპრილიდან 02 მაისამდე ხდებოდა ფოთის ჰოსპიტალის „ცხელების კლინიკაში " განთავსებული პაციენტებისა და მედპერსონალის კვებითი უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება ადგილზე მიწოდებით. ამ მომსახურებისათვის გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 8570 ლარი. აქედან, 176 ლარი გაიხარჯა საკუთარი სახსრებიდან ხოლო 8394 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ყოველივე ზემოთხსენებული სამუშაოების შესრულებისათვის ტრანსპორტისათვის შეძენილ იქნა 7765 ლარის ღირებულების საწვავი. აღნიშნული თანხა გაიხარჯა შემოწირულობის სახით ჩარიცხული თანხიდან.

კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით შეძენილ იქნა სადეზინფექციო საშუალებები (პირბადეები, ხელთათმანები, ბახილები და სპირტი, წყალბადის ზეჟანგი გლიცერინიდა ა. შ.) – 2655 ლარის. მათ შორის საკუთარი სახსრებიდან გაიხარჯა 1052 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 1603 ლარი.

2020 წლისათვის ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის შტატით განსაზღვრულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 83. მათ შორის მთავარი სპეციალისტის რაოდენობაა 54. როგორც ზემოთ ავღნიშნე, საკმაოდ მოცულობითია ის სამუშაოები, რასაც ჩვენი სამსახურის მთავარი სპეციალისტები ასრულებენ მათი სახელფასო ანაზღაურება კი საკმაოდ მწირია და შეადგენს დარიცხულ 375 ლარს. ასევე მცირეა მზარეულის თანაშემწეებისა და ანაზღაურებაც და შეადგენს დარიცხულ 250 ლარს. საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო მისია აკისრიათ შინმოვლის ექთნებსაც, რომლებთაც ავადმყოფებთან ვიზიტის განხორციელება საკუთარი სახსრებით უწევთ. მოგეხსენებათ, შინმოვლის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები ქალაქის სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობენ და ექთნებისა და ექიმისათვის პრობლემას წარმოადგენს გადაადგილება სამუშაოს შესრულებისათვის. გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული მდგომარეობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების
ცენტრის დირექტორი ბურთაზი თოდუა